

კორონალური წვიმა

დავით ხუციშვილი^ა

ელ-ფოსტა: gartvelo@gmail.com

ა. თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი. ფიზიკის დეპარტამენტი

კორონალური წვიმა ცხელი მზის კორონადან ცივი და მკვრივი წვეთების ვარდნაა მზის ზედაპირზე. კორონალური წვიმის დინამიკა მთლიანად არ არის შესწავლილი. წვეთების ვარდნის აჩქარება გაცილებით მცირეა ვიდრე თავისუფალი ვარდნის აჩქარება, რაც ასევე აუხსნელია. კორონალური წვიმა დიდი ალბათობით დაკავშირებულია კორონის გაცხელებასთან , რისგამოც მნიშვნელოვანია ამ ფენომენის დეტალური შესწავლა. რომელსაც შეისწავლიან ახალახან გაშვებული კოსმოსური სატელაიტით – მზის დინამიკური ობსერვატორიის (SDO)–ს მეშვეობით.